სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

ექსპერტის დასკვნა
FORENSICS REPORT



თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ა
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2a I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

3002100724

მიღება-ჩაბარების აქტი № 3002100724

რეგიონი	თბილისი	დასრულების თარიღი	11/04/2024

დოკუმენტი:			
რეგისტრაციის ნომერი:	1001825324	მომსახურების ტიპი:	ჩვეულებრივი
რეგისტრაციის თარიღი:	07/03/2024	საქმის ნომერი:	
ხელშეკრულების ნომერი:	2000362624	ხელშეკრულების თარიღი:	07/03/2024 - 18/04/2024
შეთანხმების ნომერი:		შეთანხმების თარიღი:	
დასკვნის ნომერი:	002080024		

ექსპერტიზის დამკვეთი :	
სახელი და გვარი:	მარიამ თოლორაია
პირადი ნომერი:	01024040069
ორგანიზაცია:	შპს გაუმაისტერ
საიდენტიფიკაციო კოდი:	404587318
თანამდებობა:	წარმომადგენელი
დოკუმენტის შემომტანი:	მარიამ თოლორაია

შესრულებული კვლევის კოდი (საქ.მთავრობის 16.01.2023 N14. დადგენილების მიხედვით)	ობიექტების რაოდენობა	საექსპერტო მომსახურების ტარიფი კვლევის ერთეულზე	თანხა
13006. - ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა	1	1500	1500
13006. - ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა	1	1000	1000
13006. - ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა	1	300	300
		ჯამი:	2800.00
		საბოლოო ფასი:	2800.00

შემსრულებელი ექსპერტ(ებ)ი (სპეციალისტი):		
კახა კახობერაშვილი		
სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი		

სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი / პასუხისმგებელი პირი	მიმღები პირი
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)
	გაცემის თარიღი

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5001908124

11/04/2024

5001908124

შპს "ბაუმაისტერ"-ის წარმომადგენელს

ქალბატონ მარიამ თოლორაიას

(საქართველო, ქალაქი თბილისი, მარატ ნოზაძის 20)

ქალბატონო მარიამ,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2024 წლის 7 მარტის რეგისტრაციის N1001825324) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N002080024 დასკვნას.

დანართი:
ექსპერტის დასკვნა 09 ფურცლად;

პატივისცემით,

მერაბ მურღულია
ბიუროს უფროსის მოადგილე

ლისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
აისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ª
ათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2ª I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

5001908124

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 11.04.2024 (ხელმოწერა) გ.ჯ



002080024

ექსპერტის დასკვნა № 002080024

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის ერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 8-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი ასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ქსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

ამნიშნავი:

რგანიზაცია: შპს ბაუმაისტერ

ანამდებობა: წარმომადგენელი

ისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, მარატ ნოზაძის 20

ახელი და გვარი: მარიამ თოლორაია

აფუძველი: განცხადება

ემსრულებელი ექსპერტები:

ახა კახობერაშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 2 ლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად (განცხადების ნომერი AR19800923) გთხოვთ მოგვიმზადოთ ომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევა, სადაც განხილული იქნება ყველა მომიჯნავე ერთეული 20 მეტრის რადიუსში და მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობების არსებული მდგომარეობის ფიქსაცია და მანძილი (მათი ტექნიკური მდგომარეობის ეფასება), დადგენილ უნდა იქნას დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების მათზე შესაძლო ზემოქმედების ხარისხი (ფუძე-აძირკვლებზე მოსული დატვირთვების სქემა კვეთს თუ არა მომიჯნავე შენობის საძირკველს) საპროექტო ობიექტის მშენებლობის და ექსპლუატაციის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არ არის განთავსებული ენობა, შესაბამისად უნდა იქნას მითითებული საექსპერტო დასკვნაში.

ჰემოსვლის თარიღი: 07/03/2024 წ

გასვლის თარიღი: 11/04/2024 წ

დასკვნა

ქალაქ თბილისში, მარატ ნოზაძის ქ. N18-ში (ს/კ 01.11.12.015.147) მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, ხოლო მისი კონსტრუქციული სქემა მოქმედ სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოა. შენობაზე არსებული დაზიანებები დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით II ხარისხის ფარგლებშია, რაც გამოწვეულია ასაკობრივი ცვეთით, ტექნიკური მოუვლელობით და ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი მიწისძვრებით.

ქალაქ თბილისში, მარატ ნოზაძის ქ. N18ა-ში (ს/კ 01.11.12.015.245) მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი შენობის ტექნიკური მდგომარეობა გამომდინარე არსებული დაზიანებების სიმრავლიდან, არადამაკმაყოფილებელია, ხოლო მისი კონსტრუქციული სქემა მოქმედ სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოა. შენობაზე არსებული დაზიანებები დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით შეესაბამება II ხარისხს, რომელიც გამოწვეულია ასაკობრივი ცვეთით, ტექნიკური მოუვლელობით და ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი მიწისძვრებით.

II ხარისხში დაზიანებული შენობების ექსპლუატაცია შესაძლებელია, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული შენობების

ონსტრუქციული სქემა ვერ აკმაყოფილებენ სეისმურ მოთხოვნებს, უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით აუცილებელია მოხდეს ათი გამაგრება შესაბამისი დეტალური გამოკვლევების და გაანგარიშების საფუძველზე შესრულებული პროექტის მიხედვით, ადაც ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს შენობების სეისმომედეგობის გარკვეულწილად გაზრდის მიზნით შესაბამისი ონსტრუქციული ღონისძიებები.

ქალაქ თბილისში, მარატ ნოზაძის ქ. N16-ში (ს/კ 01.11.12.015.153) არსებული შენობა 05/1-ის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მასზე არ აღინიშნება რაიმე სახის დეფორმაციების და ბზარების ნიშნები. მას ესაჭიროება სარემონტო სამუშაოების ჩატარება, ხოლო შენობა 11/1-ის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია - მის კონსტრუქციებზე არსებული დაზიანებებიდან და შენობის მცირე მოცულობიდან გამომდინარე მისი აღდგენა არარენტაბელურია.

ქ. თბილისში, მარატ ნოზაძის ქ. N20-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.11.12.015.152) მომიჯნავედ, ექსპერტიზის დასკვნაში მოყვანილი შენობების გარდა მშენებარე „ბ“ კორპუსის მიმდებარედ, 20 მეტრის რადიუსში სხვა შენობები არ გვხვდება, შესაბამისად დამკვეთის მიერ მოთხოვნილი იქნა მხოლოდ „ბ“ კორპუსიდან 20 მეტრით მოცილებული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება.

კახა კახობერაშვილი

გამოკვლევა

024 წლის 20 მარტს ვიზუალურად შესწავლილი იქნა ქალაქ თბილისში, მარატ ნოზაძის ქ. N20-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 1.11.12.015.152) მშენებარე შენობიდან („ბ“ კორპუსი) 20 მეტრის რადიუსში არსებული მომიჯნავე შენობები, მათი ტექნიკური დგომარეობისა და მშენებარე შენობის მიერ მათზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის დადგენის მიზნით. ამ დასკვნაში უცემულია მხოლოდ მომიჯნავე შენობების ტექნიკური მდგომარეობის ფიქსაცია, ხოლო მათზე შესაძლო ზეგავლენის შესახებ ნფორმაცია იხილეთ ამავე განცხადების საფუძველზე შესრულებულ მეორე დასკვნაში.

ალაქ თბილისში, მარატ ნოზაძის ქ. N18-ში (ს/კ 01.11.12.015.147) მდებარე საცხოვრებელი შენობა ორსართულიანია, სარდაფო. იგი დაახლოებით აშენებულია XX საუკუნის 60-70-იან წლებში. შენობა განთავსებულია მცირედ დახრილ ელიეფზე და გეგმაში გააჩნია სწორკუთხა ფორმა, მიახლოებითი გაბარიტული ზომებით - 55.0x13.0 მ. კონსტრუქციულად ენობა გადაწყვეტილია არასრული კარკასის ვარიანტში, რაც თანამედროვე სეისმური ნორმებით დაუშვებელია (ჯნ. 01.01-09 ეისმომედეგი მშენებლობა“; თავი III; მუხლი 10; პუნქტი 6). შენობის პერიმეტრზე არსებული მზიდი კედლები და შიდა იბრები ამოყვანილია სილიკატური აგურით, რაც ასევე წარმოადგენს სეისმური ნორმების დარღვევას (თავი III; მუხლი 15, უნქტი 1). სართულშუა და სასხვენო გადახურვები შესრულებულია რკინა-ბეტონის ანაკრები ფილებით, რომელთა დონეზეც ენობას გააჩნია რკინა-ბეტონის ანტისეისმური სარტყელი. სართულებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება შიდა კიბეებით, ომლებიც მოწყობილია ლითონის ჩანებით და რკინა-ბეტონის ანაკრები საფეხურებით. შენობა მის მომიჯნავედ, მარატ ოზაძის ქ. N20-ში მშენებარე საცხოვრებელი კორპუსიდან მოცილებულია 3.20 მეტრით (ფოტო 1, 2).

ღევანდელი მდგომარეობით, შენობაზე შეინიშნება შემდეგი სახის ხარვეზები და დაზიანებები: მარატ ნოზაძის ქ. N20-ში იმდინარე მშენებლობის მხარეს, ტორსულ კედელზე არსებულ ერთ-ერთი ღიობის რკინა-ბეტონის ზღუდარზე წარმოქმნილია ახრილი მიმართულების ბზარი (ფოტო 3). აღნიშნულ ფასადზე არსებული მიშენებული სათავსოს კედლები მოცილებულია ირითადი შენობის ტორსულ კედელს და წარმოქმნილია ნაპრალი (ფოტო 4). მარატ ნოზაძის ქუჩის მხარეს არსებულ ფასადზე არმოქმნილია დახრილი მიმართულების ზედაპირული ბზარები, ძირითადად ფანჯრის რაფისქვედა მონაკვეთებში (ფოტო ...8). შენობის ფასადებზე, ზოგიერთ ადგილზე აშრევებულია და ჩამოცვენილია ბათქაშის ფენა, მოჩანს სილიკატური აგურის ყობა, რომელიც გამოფიტულია ეროზიული პროცესების შედეგად (ფოტო 9, 10). რაც შეეხება შიდა სივრცეს, შენობის ენტრალურ ნაწილში არსებულ გრძივი მიმართულების რკინა-ბეტონის მზიდ კარკასსა და კარკასის შემავსებელ ტიხრებს ორის წარმოქმნილია ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიმართულების ბზარები (ფოტო 11, 12), რაც მათი არაჯეროვანი ეკავშირების შედეგია. ზოგიერთ ადგილზე, აღნიშნულ ტიხრებზე წარმოქმნილია დახრილი მიმართულების ბზარებიც (ფოტო 3, 14). შენობის შიდა სივრცის სრული დათვალიერება ვერ მოხერხდა მაცხოვრებლების ადგილზე არყოფნის გამო, ასევე შიდა ედლებზე არსებული სხვა და სხვა მოსაპირკეთებელი მასალების (თაბაშირ-მუყაო, ქვაბამბა, პლასტიკატი) არსებობის გამო ედლების სრულყოფილი ვიზუალური გამოკვლევა ვერ მოხერხდა. კედლებზე არსებული ბზარები ადრეული პერიოდისაა და ამოწვეულია შენობის ხანგრძლივი ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი მიწისძვრებით, ტექნიკური მოუვლელობით და საკმარისი ცვეთით.

მრიგად, ქალაქ თბილისში, მარატ ნოზაძის ქ. N18-ში (ს/კ 01.11.12.015.147) მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი შენობის ექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, ხოლო მისი კონსტრუქციული სქემა მოქმედ სეისმურ ნორმებთან

შეუსაბამოა. შენობაზე არსებული დაზიანებები დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით II ხარისხის ფარგლებშია, რაც გამოწვეულია ასაკობრივი ცვეთით, ტექნიკური მოუვლელობით და ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი მიწისძვრებით.

ქალაქ თბილისში, მარატ ნოზაძის ქ. N18ა-ში (ს/კ 01.11.12.015.245) მდებარე შენობა წარმოადგენს მარატ ნოზაძის ქ. N18-ში არსებულ შენობაზე მიშენებულ ნაკვეთურს, რომელიც ნაწილობრივ ორსართულიანია, ნაწილობრივ - ერთსართულიანი. მისი ძირითადი ნაწილი, რომელიც აშენებულია ადრეულ პერიოდში, ერთსართულიანია და კედლები ამოყვანილია სილიკატური აგურით, რომელზეც მოგვიანებით ბეტონის წვრილი სამშენებლო ბლოკების საშუალებით განხორციელდა დამატებით ოთახების მიშენება და დაშენება. აქვე აღვნიშნავთ, რომ სილიკატური აგურის გამოყენება შენობის მზიდ და არამზიდ კონსტრუქციებში წარმოადგენს სეისმური ნორმების დარღვევას (თავი III; მუხლი 15, პუნქტი 1). შენობა გადახურულია რკინა-ბეტონის ანაკრები ფილებით, რომლებიც გამოიყენება ასევე სართულშუა გადახურვის კონსტრუქციად დაშენებული ოთახებისთვის. სილიკატური აგურით ამოყვანილ კედლებს გააჩნიათ რკინა-ბეტონის ანტისეისმური სარტყელი. ბეტონის წვრილი ბლოკებით შესრულებული მიშენება და დაშენება გადახურულია ხის კონსტრუქციებით და თუნუქის ბურულით. შენობა მის მომიჯნავედ, მარატ ნოზაძის ქ. N20-ში მშენებარე საცხოვრებელი კორპუსიდან მოცილებულია დაახლოებით 4.50 მეტრით (ფოტო 15, 16).

დღევანდელი მდგომარეობით, შენობის ფასადებზე არსებული ბათქაშის ფენის უმეტესი ნაწილი ჩამოცვენილია და სილიკატური აგურის და ბეტონის ბლოკების წყობა ზოგიერთ ადგილზე ძლიერ გამოფიტული და დაშლილია (ფოტო 17, 18). ტექნიკურად მოუვლელ შიდა სათავსოებში შეინიშნება ატმოსფერული ნალექების ჩამოდინების კვალი, ჩამოშლილია ანაკრები რკინა-ბეტონის ფილების დამცავი შრე და მოჩანს კოროზირებული მუშა არმატურის ღეროები (ფოტო 19, 20). კედლებისა და ტიხრების შეერთების ადგილებზე წარმოქმნილია ვერტიკალური მიმართულების ბზარები (ფოტო 21, 22). ტიხრებზე წარმოქმნილია დახრილი მიმართულების ბეწვისებური ბზარები (ფოტო 23, 24). შენობის შიდა სივრცის სრული დათვალიერება ჩვენ მიერ ვერ მოხერხდა, რადგან მაცხოვრებლებმა ექსპერტიზის ჩატარებაზე უარი განაცხადეს.

ამრიგად, ქალაქ თბილისში, მარატ ნოზაძის ქ. N18ა-ში (ს/კ 01.11.12.015.245) მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი შენობის ტექნიკური მდგომარეობა გამომდინარე არსებული დაზიანებების სიმრავლიდან, არადამაკმაყოფილებელია, ხოლო მისი კონსტრუქციული სქემა მოქმედ სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოა. შენობაზე არსებული დაზიანებები დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით შეესაბამება II ხარისხს, რომელიც გამოწვეულია ასაკობრივი ცვეთით, ტექნიკური მოუვლელობით და ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი მიწისძვრებით.

ქალაქ თბილისში, მარატ ნოზაძის ქ. N16-ში (ს/კ 01.11.12.015.153) არსებული შენობა 05/1 და 11/1 (საკადასტრო გეგმის მიხედვით) წარმოადგენენ მიტოვებულ ერთსართულიან ფარდულებს. შენობა 05/1 აშენებულია ბეტონის ანაკრები მსხვილი საკედლე ბლოკებით, სისქით 40 სმ და გადახურულია რკინა-ბეტონის ანაკრები ფილებით, რომელზეც მიშენებულია შენობა 11/1 ხის კონსტრუქციებით და სილიკატური აგურის წყობით. შენობები მის მომიჯნავედ, მარატ ნოზაძის ქ. N20-ში მშენებარე საცხოვრებელი კორპუსიდან მოცილებულია 10.50 მეტრით (ფოტო 25, 26).

დღევანდელი მდგომარეობით შენობა 05/1-ზე არ შეინიშნება რაიმე სახის ბზარები და დაზიანებები. ფასადებზე არსებული ბათქაშის ფენა ნაწილობრივ აშრევებული და ჩამოცვენილია. შენობას არ გააჩნია შემონაკირწყლი. შენობა 11/1-ის ხის კონსტრუქციებზე აღინიშნება მნიშვნელოვანი ლპობის ნიშნები, ხოლო სილიკატური აგურის წყობა გამოფიტულია (ფოტო 27...30).

ამრიგად, ქალაქ თბილისში, მარატ ნოზაძის ქ. N16-ში (ს/კ 01.11.12.015.153) არსებული შენობა 05/1-ის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მასზე არ აღინიშნება რაიმე სახის დეფორმაციების და ბზარების ნიშნები. მას ესაჭიროება სარემონტო სამუშაოების ჩატარება, ხოლო შენობა 11/1-ის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია - მის კონსტრუქციებზე არსებული დაზიანებებიდან და შენობის მცირე მოცულობიდან გამომდინარე მისი აღდგენა არარენტაბელურია.

ქ. თბილისში, მარატ ნოზაძის ქ. N20-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.11.12.015.152) მომიჯნავედ, ექსპერტიზის დასკვნაში მოყვანილი შენობების გარდა მშენებარე „ბ“ კორპუსის მიმდებარედ, 20 მეტრის რადიუსში სხვა შენობები არ გვხვდება, შესაბამისად დამკვეთის მიერ მოთხოვნილი იქნა მხოლოდ „ბ“ კორპუსიდან 20 მეტრით მოცილებული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება.

კახა კახობერაშვილი

გამოყენებული მასალები

1. ჯნ. 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა"
2. СП-13-102-2003
3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ფოტოილუსტრაცია




ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4




ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8



ფოტო 9



ფოტო 10



ფოტო 11



ფოტო 12



ფოტო 13



ფოტო 14



ფოტო 15



ფოტო 16




ფოტო 17



ფოტო 18



ფოტო 19



ფოტო 20



ფოტო 21



ფოტო 22



ფოტო 23



ფოტო 24



ფოტო 25



ფოტო 26



ფოტო 27



ფოტო 28



ფოტო 29



ფოტო 30